სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა.

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ.“ წიგნის-მაღაზიას.

ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.

ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.

დარია ზაქარიას ასული და ელისაბედ სერგეის ასული და გრიგოლ ივანეს ძე მირზოევნი, კნეინა მარიამ ივანეს ასული და თავ. ნიკოლოზ ვასილის ძე არღუთინსკი-დოლგორუკოვები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა თვისთა გარდაცვალებას პირველი შვილისას, მეორე ქმრისას, მესამე და მეოთხე ძმისას, ხოლო მეხუთე ცოლის ძმისას

## მინა ივანეს ძის მირზოევისა

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, ორთაჭალაში, საკუთარს სახლში. მიცვალებულს გამოასვენებენ ხუთშაბათს, 24 სექტემბერს, ვანქის სობოროში დილის 9 საათზე. დაკრძალავენ სოფ. თელეთში. (3—3)

დრამატ. საზოგ. დროებითი თავმჯდომარე ამით იუწყება, რომ
ქართულ დრამატიულ საზოგადოების

## საგანგებო კრება

დანიშნულია 25 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში
გამგეობის ხუთ წევრთა ამოსარჩევად იმათ მაგიერ, რომელთაც გამგეობის წევრობაზე უარი განაცხადეს. (5—4)

მალე აქედან გამგზავრების გამო
იაფად იყიდება მოლაპარაკე თუთიყუშები



იქვე ვიღებულობენ
კავკასიის ნადირებს ცხოველად:
ირმებს, ჯეირანებს, შურთხებს, ჯიხვებს, გარეულ თხებს და სხვა გარეულ ცხოველთა.
მსურველნი მიჰმართავენ: მიხეილის ქუჩა, № 106, ბარამოვის სახლებში.
(12—11) ჰუგო ვინკლერი

გაზეთი „ცნობის ფურცელი“
წლის დამლევამდე

## ღირს 2 მანათი

## წიგნის მაღაზია
### მიხეილ გაჩეჩილაძისა
(იგივე „გლეხის“ ამხანაგობისა)

ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ გავხსენით
დ. ყვირილაში, ჩუბინიძის სახლში
წიგნებისა და საკანცელარიო ნივთეულობის მაღაზია
მაღაზიაში გვაქვს ყოველგვარი ქართული გამოცემანი და სახელმძღვანელოები. ვკისრულობთ აგრეთვე სხვა-და-სხვა წიგნების გამოწერას. ვიღებთ წიგნებს საკომისიოდ გასაყიდათ და აგრეთვე ვაძლევთ ჩვენც ჩვენს გამოცემებს.
მაღაზიასთან გახსნილი გვაქვს წიგნების საკაზმავი სახელოსნო, სადაც მზადდება წიგნები სუფთად, იაფად და სწრაფად.
სოფლის მასწავლებლებს სახელმძღვანელო წიგნები, რვეულები და სხ. დაეთმობათ ძლიერ დაკლებულ ფასად.
მსურველს შეუძლიანხ მთგვმართოს შემდეგის ადრესით:
Квирилы. Книжный магазинъ М. Гачечиладзе. (15—8)

გამოვიდა და ისყიდება
დ. მორდოვცევის ისტორ. რომანი აფხაზეთის ცხოვრებიდან

## ამირანის შვილნი

თარგმნილი თ. სახოკიას-მიერ
ფასი 1 მანათი. (10—5)




ღვინის სარდაფი

## „იყალთო“

თ. გიორგი და ლუარსაბ მაყაშვილებისა
გოლოვინის პროსპექტი, ანტონოვის სახლი, სასტ. „როსსიას“ ქვეშ, ახალი თეატრის გვერდზე.

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ ჩვენ გავხსენით საკუთარი მოსავლის ღვინის სარდაფი

## „იყალთო“

ბოთლი 20 კაპ. ვიდრე 1 მანათამდე, ვედროთი ფასი დაკლებულია.

**Винный складъ**
Князей Г. и Л. Макаевыхъ
подъ фирмой
## „ИКАЛТО“
Тифлисъ, Головинскій проспектъ. д. Ансенова, подъ гост. «Россія» (75—21)

## ექიმი
ე. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.
მიხეილის ქუჩა, № 16.
Докторъ К. М. Чиковани
Михайлов., № 16.

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი
## ბენკლევსკი
ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.
Докторъ медицины и хирургъ
**БЕНКЛЕВСКІЙ**
Грибоѣдовская № 30, д. бывш. Аршакуни. (წ.)

სტუდენტად ყოფილი ეძებს გაკვეთილებს
ადრესი: „ცნ. ფურცლის“ რედაქცია. (10—5)

სამკურნალო და ამბულატორია
## ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურ-

გო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11-საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე· შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. გერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ფ. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტია საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

⁂ გზათა მინისტრის ამხანაგი გენ.-ლეიტ. პეტროვი 22 სექტემბერს ბორჯომიდან ტფილისში ჩამოვიდა და მაშინვე გაემგზავრა ყარსის რკინის გზაზე.

⁂ **ტფილისის სამოსამართლო პალატის** უფროსი თავმჯდომარე ს. ბ. ბრასკი 25 სექტემბერს მიემგზავრება სამსახურის გამო ყარსში, საიდანაც დაბრუნდება ტფილისში 1-ლ ოქტომბერს.

⁂ **წყლის მილების საქმე.** როგორც ისმის, განზრახვა აქვთ გამოიყვანონ ტფილისში ავჭალის მეორე წყლის მილი. ეს იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ არსებული მილებს საკმარისათ ვერ შეჰყავთ ქალაქში წყალი. („ნ. ო.“).

⁂ **ახალი თანამდებობა.** განზრახვა აქვთ, შუამდგომლობა აღძრან იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნეს ქალაქის სასაკლაოების მმართველის თანამდებობა ამ ჟამად ქალაქის სასაკლაოს მართვა-გამგეობა აბარია სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორს. („ნ. ო.“)

⁂ **შტატის გადიდება.** ფინანსთა სამინისტროს, როგორც ისმის, გადაუწყვეტია გაადიდოს მოსამსახურე პირთა შტატი სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში.

⁂ **საჩივარი გაზ. „ნოვ. ობ.“-ის რედაქტორზე.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველომ საჩივარი შეიტანა ტფილისის საოლქო სასამართლოში გაზ. „ნოვ. ობ.“-ის რედაქტორს თავ. გ. ნ. თუმანოვზე, რომელსაც აბრალებს ცილის წამებას. ოლქის სასამართლომ სცნო, რომ ეს საქმე უნდა განიხილოს პირველად სასამართლოს პალატამ და არა საოლქო სასამართლომაო, და დაადგინა დაუბრუნდეს ეს საჩივარი გზის სამმართველოს, რის გამო უკანასკნელმა განასაჩივრა ეს დადგენილება ტფილისის სამოსამართლო პალატაში, პალატამ 22 აგვისტოს გააუქმა საოლქო სასამართლოს დადგენილება და მისწერა მას მიიღეთ ეს საქმე განსახილველადაო.

⁂ **მკვლელობის განზრახვის საქმე.** ქუთაისის საოლქო სასამართლოს სესიამ 21 სექტემბერს განიხილა შტაბს-კაპიტნის სოლოვცევის საქმე, რომელსაც ბრალდებოდა თავ. ვაჩნაძის მოკვლის განზრახვა და გაამართლა ბრალდებული.

⁂ **ღვინის მოსავალი კახეთში 1897 წ.** „Изв. Мин. Зем. Госуд. Имущ.“-ში მოყვანილია შემდეგი ცნობები კახეთში 1897 წ. ღვინის მოსავლის შესახებ მთელი კახეთის ვენახებიდან, რომელთა სივრცე უდრის 14,360 დესეტინას, მოუყვანიათ 777,000 ვედრო ღვინო, რაც საშუალო მოსავალს თითო დესეტინაზე შეადგენს 54 ვედროს. ვედრო ღვინის ფასი საშუალო ანგარიშით ადის 2 მანეთამდე და მაშასადამე მთელი კახეთის 1897 წლის მოსავლის ღირებულება უდრის 1.554,000 მან. რაც შეადგენს თითო დესეტინაზე 108 მანეთს. გარდა ამისა. იმავე წლის ნაქაჯი ღვინო მთელ კახეთში, დაფასებულია 30,000 მან., რაც მოსავლის საზოგადო ღირებულებასთან ერთად შედგენს 1.593,000 მან., და თვითეული დესეტინის მოსავალს ასწევს 110 მანეთამდე.

⁂ **ქალაქის ბაღი ავლაბარში.** ქალაქის საბჭომ, ტყე-ბაღის კომისიასთან ერთად, ამ დღეებში დაათვალიერებს ავლაბარს ქალაქის ბაღის გასაშენებელ ადგილის ასარჩევად.

⁂ **მკვლელობა.** 21 სექტემბერს, ჩაქვის სახელმწიფო მამულების დარაჯი მუსტაფა გორგილაძე, სოფელს გიორგობეში მოკლეს. მკვლელი დაიმალა და ველარ იპოვეს. („ჩერ. ვესტ.“)

⁂ **მოსკოვის ფარმაცევტების შუამდგომლობა.** მოსკოვის ფარმაცევტებმა, მოსკოვის გაზეთების სიტყვით, შუამდგომლობა აღძრეს მოსკოვის ექიმთა საზოგადოების წინაშე, იმის შესახებ, რომ საზოგადოების აფთიაქაში შემოღებულ იქნეს შემოკლებული სამუშაო დღე და დანიშნულ იქნეს კომისია, რომელმაც თვალ-ყური უნდა ადევნოს ამ ცვლილების შედეგებს იმ კითხვის გამოსარკვევად, თუ რა კვალს დააჩნევს ეს ცვლილება აფთიაქის საქმეს საზოგადოდ და მის ეკონომიურ მხარეს კერძოდ. ამ განცხადებაში, ნაჩვენებია, სხვათა შორის, რომ აფთიაქებში მიღებული 14 საათიანი სამუშაო დღე, რომელსაც მსახურნი დახშულ და მავნებელ ჰაერში ატარებენ. ღამღამობით ხშირი მორიგეობა, სააფთიაქო მუშაობის ის განსაკუთრებული თვისება, რომელიც მოითხოვს შეუსუსტებელ და გადამეტებულ ყურადღებას და ფიზიკურ ძალას, ყოველივე ეს წარმოადგენს მეტად უმართლო მოვლენებს.

⁂ **ახალი წიგნები.** ტფილისის ერთ სტამბაში ამ ჟამად იბეჭდება ქართულ ენაზე ცალ-ცალკე წიგნებად წვრილ-წვრილი ამბები და მოთხრობები უცხოეთის საუკეთესო მწერლებისა: ალფონს დოდესი, გილდემოპასანისა, მატილდა სერაოსი და სხ... პირველ წიგნში მოთავსებული იქნება 9 ასეთი ამბავი.

⁂ **შეცდომის გასწორება.** ჩვენი გაზეთის გუშინდელს №-ში ახალ ამბავთა·შორის დაბეჭდილია ცნობა ქაღალდის ფულის ხმარების ვადის გასვლაზე, რომელშიაც მოხსენებულია: „უკანასკნელი ვადა გათავდება 1890 წლის 31 დეკემბერს“, უნდა იყოს: „უკანასკნელი ვადა გათავდება **1899** წლის...“

⁂ **ზემო-იმერეთი.** ჭალის მთის საქმე. ზემო-იმერეთის შესამჩნევ სიმდიდრეს შეადგენს ეგრედ-წოდებული ჭალის მთა, რომელიც მდ. ყვირილას ნაპირს ჩაუყვება 80 ვერსის სიგრძესა და 60 ვერსის სიგანეზე, ქართლისა და რაჭის საზღვრებამდე. ამ 10—15 წლის წინად ეს მთა უდაბურ ტყეს წარმოადგენდა სხვა-და-სხვა ნაირ მცენარეულობით, მადნეულობით და აბანოებით. ეს მთა სულ ერთიანად ჭალელ აბაშიძეებს ეკუთვნოდათ. მისი მნიშვნელობა აბაშიძეებს არ ჰქონდათ შეგნებული; მათ ახლაც არ ესმით, თუ რამდენად სასარგებლო და ძვირფასი იქნებოდა ეს მამული მათი შთამომავლობისათვის და ბევრმა მათგანმა სულ ტყუილ-უბრალოდ დაკარგა იგი: ზოგს ძალათი გამდიდრებულმა „აბლაკატებმა“ წაართვეს, რასაკვირველია, „პადლოგით“ და ზოგისაგანაც-კი: მადლობა ღმერთს, გლეხებმა შეისყიდეს. მხოლოდ ეს ტყე, ვინც აქამდე ღონიერი იყო წართმევ-წაგლეჯაში და ცხენის ქურდობაში, იმისი იყო; ბევრი საწყალი კაცისათვის აუტირებიათ დედა აქაურ რაინდებს და კერაზე ცეცხლი გაუქრიათ· ბოლოს იფიქრეს და ისევ იმ „აბლაკატებს“ ჩააბარეს ეს ძვირფასი მთა. ამათაც, რასაკვირველია, გაგლიჯ-გამოგლიჯეს და თხის პატრონს თხის კუდიც აღარ ახვედრეს. ამათი ეშმაკობაც რომ შეიტყეს, როგორც იქნა თავი დაიხწიეს და ჩვენს საზოგადო მოღვაწეს ბ-ნს გ. წერეთელს მიაგნეს, რომელიც მთის აპეკუნად ამოირჩიეს, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ, ამან საბოლოოდ დაღუპა ჭალელები. მან ეს [illegible] წელიწადია ერთს კაპიტალისტს სამოცი წლის ვადით მისცა იჯარით ეს შესანიშნავი მთა 25,000 მან. წელიწადში, ასე რომ ორ-სამ წელიწადში რომ შესძლოს და გაანადგუროს ეს მთა მოიჯარადრემ, ნება აქვს და ჩვენს ჭალელებს მაშინ მთის ფასი-კი არ დარჩებათ, არამედ შედარებით რომ ვიანგარიშოთ, დარჩებათ ერთი კვერცხის ფასი. თუმცა ეხლა ერთი თუმნის, თუნდ ათი თუმნის, ჩხრიალიც სასიამოვნოა და მასთან სასარგებლოც სოფლელი კაცისათვის, მაგრამ ასე სამუდამოთ, 60 წლის ვადით, ასე ხელის-შეკვრა არც ვაჭრული ანგარიშია და არც მეგობრული,—და მერე იმისთანა დროში, როდესაც კამპანია კამპანიაზე და ფირმა ფირმაზე ჩნდება, რათა კავკასიაში მამულები შეიძინონ და მადნეულობა შეიმუშავონ.

ამას წინად ერთს კრებაზე ბ-ნ გ. წერეთლის ხელ-შეკრულობის წინააღმდეგ პროტესტი გამოაცხადეს რამდენიმე ახალგაზდა ნასწავლმა ყმაწვილებმა, რომელნიც მონაწილეები არიან ამ მთაში, მაგრამ ამაოთ ჩაუარათ.

თანამედროვე

⁂ **სამეგრელო.** ჭირნახული და ამინდები. სექტემბრის პირველ რიცხვებში აქეთ საშინელი სიცხეები იდგა. ორ-სამ დღეს განუწყვეტლივ იწვიმა, რამაც ცოტა ზიანი არ მისცა უამისოდაც გაფუჭებულს ჭირნახულსა. ადგილ-ადგილ მდინარეები და პატარა ნაკადულები ძალზე მოდიდდა, გადავიდა ნაპირებიდან და შესამჩნევი ზარალი მისცა მცხოვრებლებსა. წრევანდელ სიმინდზე თუ სხვა მოსავალზე ჯერ-ჯერობით არაფერი გვეთქმის, მით უფრო, რომ ჯერ არც-კი დაწყებულა ჭირნახულის მოწევა. სიმართლე რომ ითქვას, ადგილ-ადგილ ძალიან ნაკლებ მოსავალს მოელიან. ვგონებთ მრავალი სასიმინდეები დარჩეს წელს ცალიერი. იმგვარ ადგილებში დაზარალდა მოსავალი, რომლის ღირული მიწა იძლეოდა ას ფუთ სიმინდსა. ამ გვარმა მოსავლის თავის დაკვრამ ბევრი მხვნელ-მთესველი მისცა მწარე ფიქრსა და საგონებელში. ხალხში ხშირად გაისმის: „ვაი ჩვენი ცოდვა, რა გვეშველება, რითი გამოვკვებოთ ჩვენი

ცოლ-შვილი, ან რითი გავუძლევთ ათასგვარ გადასახადს, რომელიც კისერზე გვაწევსო! თუ ვერ გადავიხადეთ, ჩვენი მსუნაგი „სბორჩიკი“ ხომ მთლად აგვიკლებსო“. აი ასეთი გულ-საკლავი სიტყვები გაისმის აქეთ ხალხში...

— ციებ-ცხელებამ, აცივდა თუ არა ჰაერი, უფრო და უფრო მაგრა მოიკიდა ხალხში ფეხი. თითქოს წელს ამისი სეზონი იყოს, ყველგან ციებ-ცხელებაზე სჩივიან. ამ სენით მრავალი წევს საბრალო უპატრონოდ ლოგინში და გაიძახიან: „ვაი, ნანა, ჩქიმი ცოდა მიმოხვარუ, დოვლური დორონთუმე“.

ეს ათი დღეა, რაც შემოდგომის კარგი ამინდები სდგას. თითქმის ისე მოგვშორდა გაზაფხული და ზაფხული, რომ ამისთანა კარგი დარი თვალითაც არ გვინახავს.

ტელეფონი

*** **ს. აკეთი** (გურია). **საინტერესო ამხანაგობანი.** გურიაში დღეს სულ პატარა სოფელიც კი ცდილობს ჰქონდეს საკუთარი სასწავლებელი, სამკითხველო და მასთან რაიმე საამხანაგო დაწესებულება. დღეს გურიაში თორმეტი ამხანაგობა სუფევს, რომლის შესახებ ჯერ-ჯერობით კრინტიც არავის დაუძრავს გაზეთში. მაგალითად, მეტად საინტერესო ამხანაგობა არსებობს ერთს სოფელში: უბრალო მუშებს, სამ მეზობელს, 15 წლის ყმაწვილებს სამი ქცევა, სასიმინდე ყანა აუღიათ საამხანაგოდ და ერთად მუშაობენ; წლის დამლევს ნამუშევარს აქცევენ ფულათ და შეაქვთ ბანკში. ამ ამხანაგობის დაარსების შემდეგ, დღეს მეშვიდე წელიწადი ყოფილა. ამხანაგთ ათას ორასი მანეთის ბილეთი აქვთ. ეს ყმაწვილები არც ყმაწვილებში არც ოჯახში მომცდარან და თავის დედ-მამასთანაც მუშაობენ.

— **უგზოობა.** ახლა დაუბრუნდეთ ს. აკეთს. აკეთი ერთად-ერთი მიუვალი ალაგია მთელ გურიაში, ეს სოფელი მეტად დაუჩაგრავს ბუნებას. სამხრეთით მას გასწოლია მდ. სუფსა და ექადნება, არავითარ ნაწარმოებს ქალაქში გასასყიდათ არ გაგატან, ეგდე შენთვის ფეხ-მოუცვლელადო. ჩრდილოეთით მაღალი მთები უკრძალავს რკინის გზაზედ არარაფერი გადაიტანოთო. დიდი ჭაობებიც ხალხს წინ გადალობებია, და განგრევის ნებას არ აძლევს. ამ გვარად ხალხი მომწყვდეული ერთ ადგილში და თავისუფლად ვერსად წასულა. ვინ არის მშველელი, ვინ არის გზის გამხსნელი, რომ მით დაიხსნას ხალხი გაჭირვებისაგან. ჯერ-ჯერობით არავინ.

აკეთის საზოგადოება მუშაობას დღე-ღამე წელებზე ფეხს იდგამს, მაგრამ მათი ეკონომიური ცხოვრება მაინც უკანასკნელ მდგომარეობაშია. ეს საზოგადოება დიდს სამსახურს უწევს მთელ გურიას: აქ მზადდება ყოველივე ნაირი თიხის ჭურჭლეულობა, ურომლისოდ გურიაში ცხოვრება შეუძლებელია. ამ საზოგადოებას მისი მეზობელი სოფ. ვანი დიდად ხელს უწყობს: ვანში მზადდება პირველი ხარისხის ქვა, ყველა ნაირი ფორმისა. გურიაში ერთ ქვის ეკკლესიას ვერ ნახავთ, რომ ვანის ქვით არ იყოს აგებული. ახლა იკითხავთ, თუ გზები არა აქვთ, როგორ გააქვთ მაგდენი ნაწარმოებიო? დიდი ვაივაგლახით! ერთი ვერსის მანძილზე ჭურჭლის გადატანას ერთი დღე უნდებიან. სუფსაზე როგორმე ჩაიტანენ და თუ კარგი დარია, ეღირსებიან წყალში გასვლას და გზა-ტკეცილამდე მიხწევას, თუ არა და უკან უნდა დაბრუნდნენ. ბევრჯერ ყოფილა გაზეთებში, აკეთლები შეუდგნენ გზების კეთებას და გავაკეთეთ კიდევაცო, მაგრამ აბა ერთი მიმითითეთ, რომელი გზა გააუმჯობესა რომელიმე მამასახლისმა, რომ მით სოფლისათვის მიმოსვლა გაეადვილებიოს. დაწყებით ბევრჯერ დაიწყეს, მაგრამ გათავებით ერთხელაც ვერ გაუთავებიათ. ამ ორის წლის წინად ხალხმა ნასწავლი მოინდომა ნასწავლი კაცის მამასახლისად არჩევა. კიდეც გაიღეს ჯამაგირათ სამას მანეთამდე, მაგრამ ის უფრო უარესი გამოდგა და ვართ უგზოობით შეწუხებულნი.

— **სავაჭრო ამხანაგობის დაარსების საჭიროება.** დროა გავაღოთ თვალები, წავბაძოთ სხვა სოფლებს, გავაკეთოთ გზები, შევუერთოდ სოფელი სოფელს და შემდეგ დავაარსოთ სავაჭრო ამხანაგობა და სამი საწყობი: ერთი—ქ. ოზურგეთში, მეორე—რკინის გზასთან ლანჩხუთში და მესამე—ჩოხატაურში. ეს სამი ადგილი არის კარგი საბაზრო ადგილი. საწყობში მუშა ნაწარმოებს ადრეც გაასაღებს და კარგ ფასსაც აიღებს. ბევრჯერ გვინახავს 15 ვერსის მანძილიდან მოსული მეურმე ჩავარდნილა ჭაობში, ურემი შიგ ჩაულოვებია და ძლივს მხოლოდ ხარები გადურჩენია განსაცდელისაგან. ასეთი შემთხვევა მომხდარა უფრო ვანში, ეკკლესიის ქვების გაზიდვის დროს. საჭიროა ყურადღება მიაქციოს, ვისიც ჯერ არს და ამ გაჭირვებული მდგომარეობიდგან დაგვიხსნას. აგრეთვე უმორჩილესად ვთხოვთ ღრმად პატივცემულს, აქაურივე მცხოვრებს თ. ნიკო თავდგირიძეს, გვიწინამძღვროს აკეთის ამხანაგობის დაარსებაში და ამით დაუვიწყარი გახდეს ჩვენთვის. ამ საგნისათვის მე ჩემი მხრით გადავდებ 50 მანეთს საწევრო ფულათ.

ვარდენ მეთვალყურე

*** **ს. კავთისხევი** (ქართლი). **აქაური ამბები.** ამ ჟამად კავთისხევში ძალზე ცივა და ღამ-ღამე რთვილსაც აგდებს. ხალხი უკვე შეუდგა ანეულის ხნულების ფარცხვას. სიმინდების ჰრაც ზედ მოჰყვა, მაგრამ ვერაფერი პირი უჩანს, რადგანაც ზაფხულის გვალვამ სრულიად მოშუშა და სიმინდის ტარო არ დაასრულებინა. ჩვენს ადგილებში საერთოდ სიმინდის მოყვანას ხალხი ძალიან მისდევს და სიმინდიც ძალიან გვარობს, თუ ნოტიო წელიწადი დაუდგა, რადგანაც სიმინდს მთელს ზაფხულობით სამჯერ-ოთხჯერ მორწყვა უნდება და კავთისხევში-კი წყალი ძალიან ცოტაა. ლობიოს სახსენებელი ხომ სრულიად არსად არის: ბევრს ადგილებში, როგორც ვენახებში, აგრეთვე მინდორში, სრულიად მოსცდა ისე, რომ არც-კი მოუგლეჯნიათ და სამერმისოდ აქაურებს თესლიც არ ექნებათ.

ქართლში ლობიო და სიმინდი უპირველესი საცხოვრებელი სახსარია, რადგანაც როდესაც ულალოტებს და რიგიანი მოსავალი არ არის, მაშინვე ხალხში ჩუმი შიმშილობა იბადება. თუ გლეხკაცს მჭადი და ლობიო აქვს, მაშინ ის არავითარ სიღარიბეს და ჯავრს აღარა გრძნობს. პურის მოსავალი წელს კავთისხევში გვარიანი იყო, მაგრამ თუ წმინდა პურს სიმინდი არ შეეშველა, არაფერი ბარაქა არ ექნება. ამიტომაც დღეს პურის ფასმა გვარიანად აიწია. კალოზე პირველი ხარისხის პური კოდი სამი მანეთი იყო და ეხლა-კი უცებ ოთხ მანეთზე ავიდა (კოდი ოთხი ფუთია). სიმინდისა და ქერის ფასიც პურის მაზანდას დასდევს, ისე რომ პური თუ ოთხ მანეთად გაიყიდება, მაშინ სიმინდი ცამეტ აბაზად და სამ მანეთად გავა.

წელს ვენახებსაც არა უშავს-რა, შეგვიძლიან თამამად ვთქვათ, რომ საშუალო მოსავალი მოგვივა. მართალია, კაცმა რომ შეხედოს ვაზებს, ეგონება ძალიან ასხიაო, მაგრამ მტევანი საკმაოდ თხელია. საფერავის ვაზის მოსავალს თეთრი სჯობიან. ყურძენიც შარშანდელზე სალია და ღვინოც უკეთესი დადგება, მაგრამ აქაური მცხოვრებნი მეტად სულ-წასულნი არიან: რამწამს დაინახავენ ყურძენი შეჭრელდაო, მაშინვე ქვევრებსა და საწნახლებს ეცემიან, არიქა ჩქარა დავკრიბოთო. თუმცა მიზეზად ის მოჰყავთ, ძაღლი და ღორი გვიჭამსო, მაგრამ სულ ტყუილია, პირწყალი მოსდით ხოლმე—ჩქარა ყელი ჩაიკოკლოზინაონ შუშხუნა მაჭრითაო.

ურიგო არ იქნება აქაურმა მამასახლისმა აღუკრძალოს მცხოვრებთ დაუმწიფებელის ვენახების დაკრეფა, რადგანაც მოუსვლელი ყურძნიდან მჟავე მაჭარი დგება და ისეც ციებ-ცხელებისაგან დასნეულებულს ხალხს ხელ-მეორედ განუახლებს ავადმყოფობას, რომელიც ჯერ ისევ ტანში უდგიათ.

ივ. კავთელი

*** **ახალ-სენაკი.** **მადლობის გამოცხადება.** ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულ გაზეთ „ცნობის ფურცლის“ საშუალებით ჩემი უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო ბ-ნ გრიგოლ ხუნწარიას, რომელმაც კეთილ ინება და ჩემ მიერ ახლად გადაკეთებულს ს. ნატოჩაოს (სენაკის მაზრა) წმ. გიორგის სახელზე დაარსებულ სამრევლო სკოლას ნივთიერი შემწეობა აღმოუჩინა. იმედია, ბ-ნ გრიგოლ ხუნწარიას სხვა გულ-კეთილი და ქველ-მომქმედნი პირნი მიბაძვენ ამ გვარ კეთილ საქმეში... ჩვენი ადრესი: ახალ-სენაკი.

ს. ნატოჩაოს სამრევლო სკოლის მასწავ.
ტრიფონ კალანდარიშვილი

## სასამართლოს მატიანე

—

**გ. გენძეხაძის საქმე.** ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია 12 სექტემბერს საქმე გიორგი გენძეხაძისა, რომელსაც ბრალდებოდა კაცის დაჭრა. პირველად საქმე გაარჩია ქუთაისის ოლქის სასამართლომ, სადაც დამნაშავეთ იქნა ცნობილი გ. გენძეხაძე და მიუსაჯა სასამართლომ 8 თვით დაპატიმრება და ყოველივე ღირსების ჩამორთმევა. გენძეხაძე არ დაყაბულდა ამ განაჩენს და საქმე გადაიტანა ტფილისის სამოსამართლო პალატაში, მაგრამ სამოსამართლო პალატამ იგივე სასჯელი მიუსაჯა, რაც ქუთაისის ოლქის სასამართლომ და 45 მანათიც ჯარიმა დაადვა.

## ყურმოკრული საუბარი

—

სასამართლოში. მომრიგებელი მოსამართლე ეკითხება ერთს მოწმეს:

— სად არის თქვენი საცხოვრებელი ადგილი?

— ბულვარზე გახლავთ, ბატონო, სკამეიკაზე ვცხოვრობ.

შემდეგ მოსამართლე მეორე მოწმეს ეკითხება:

— თქვენ სადღა სცხოვრობთ?

— მაგის მეზობელი გახლავართ, მეც იქვე ვცხოვრობ მეორე სკამეიკაზე.

— იმედია ტკბილი მეზობლობა გექნებათ:—სიცილით შენიშნა მოსამართლემ.

## რედაქციისაგან

—

**ს. ნაესაკოვოში** იაკ-ნანას. თქვენი წერილი ვერ დაიბეჭდება.

**ს. ძოდალოში** მოჭეშმარიტეს. თქვენს წერილს ნამეტანი კერძო ხასიათი აქვს. არ დაიბეჭდება.

**ტფილისში** იროდიონ ოქროაშვილს. ვერ დაიბეჭდება.

## სხვა-და-სხვა ამბავი

—

შავი ჭირი ინდოეთში. გაზეთები იუწყებიან ინდოეთიდან შავი ჭირის შესახებ შემდეგს საინტერესო ცნობებს: 4 ივლისიდან 10 ივლისამდე ავად გახდა 433 კაცი, გარდაიცვალა 307 კაცი. 27 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე ავად გახდა 3,112 კაცი, გარდაიცვალა 2,238. ბომბეის ქალაქში ამ ერთი კვირის წინად (5—6 სექტემბრიდან 12 სექტემბრამდე) სულ ავად გახდა 205 კაცი, გარდაიცვალა 137 კაცი. მხოლოდ კალკუტაში შვიდი ავად გახდა და რვა გარდაიცვალა. საერთოდ ყველგან ინდოეთში მოდებულია ეს სენი.

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 სექტემბერი

**პარიზი.** დრეიფუსის საქმის გადასინჯვის წინაამდეგი გაზეთები მადლიერნი არიან გუშინდელის დღისა, რადგან, იმათის სიტყვით, პარიზის მკვიდრთა დიდძალმა უმეტესობამ უკმაყოფილება განაცხადა ჯარის შეურაცხმყოფელთა წინაამდეგ. „Rappel“-ი მთელს ბრალს დერულედსა და იმის მომხრეებსა სდებს, რომ ისინი საქმეში ჩაერივნენ და ამითი იძულებულ ჰყვეს მთავრობა ზოგიერთი ღონისძიება ეხმარა, რათა თავიდან აეცილებინა უფრო დიდი უწესოებანიო.

**ლონდონი.** „ტიმესს“ დეპეშით აუწყებენ შანჰაიდგან, რომ გუაიტაპუ, ამას წინად დათხოვნილი ბოგდიხანის მიერ თანამდებობიდან და იუნგლუს უმთავრესი მომხრე დანიშნულ იქმნა ცენზორთა სასა, მართლოს თავმჯდომარედ და დიდის საბჭოს წევრადაო.

**სტამბოლი.** თავის ნოტაში, პასუხად სერბიის ნოტისა, რომელშიაც საჩივარია განცხადებული, რომ კოსსოვას მაზრაში ძალმომრეობანი იყო ხმარებულიო, ოსმალეთის მთავრობა სწერს, რომ საიდ-ედდინმა გამოიძია საქმე და გამოაშკარავდა, რომ სერბიის ნოტაში ხსენებული მრავალი შემთხვევა სრულიად არ მომხდარა, და ეს გვაფიქრებინებს, რომ საჩივარი დაფუძნებულია ისეთ კაცთაგან მიღებულ ცრუ ცნობებზე, რომელთა სარგებლობაცა საჭიროდ ჰხადის ორსავე სახელმწიფოს შორის არსებულ მეგობრულ განწყობილების დარღვევასაო. ამას გარდა, ეს საჩივარნი შინა მართვა-გამგეობას შეეხება ქვეყნისასაო.

**რომი.** იტალიის მთავრობამ ევროპის ყველა დიდს სახელმწიფოს დაუგზავნა ნოტა და იწვევს ანარხისტთა საწინაამდეგო საშუალებათა განსახილველ კრებაზე დასასწრებლად.

**სიტტენი** (შვეიცარია). ჰაეროსტატი „ვეგა“, რომლითაც სპელტერინს განზრახვა აქვს გადაიაროს ალპიის მთები, 21 სექტემბერს, დილის 11 საათზე აეშვა მაღლა და თან აიყვანა სპელტერინი, გეიმო, მაუერრო, ფარალსი, მორჟე, ხერგეზელე და ბიდერმანი. ამ მოგზაურობას სამეცნიერო ხასიათი აქვს. სპელტერინი იმ აზრისაა, რომ ამ მოგზაურობას 10 ანუ 11 საათის განმავლობაში მოვრჩებიო.

**კოპენჰაგენი.** დედოფლის გვამს 3 ოქტომბერს დაჰკრძალავენ.

**რომი.** აქ მოვიდა და „რომის“ სასტუმროში ჩამოხტა გრაფ მარკუაზელის სახელით პოლკოვნიკი დე-პატი-დიუ-კლამი, რომელმაც ნახა მრავალი მეგობარი, საფრანგეთის ჟურნალისტი და შაბათს წავი-და ვითომდა ნეაპოლს, ნამდვილად კი ჩრდილოეთ იტალიისაკენ გაემართა.

**კანეა.** საერთაშორისო სამხედრო სასამართლოს წევრნი წავიდნენ ყანდიაში, რათა გამოიძიონ სისხლის სამართლის საქმე იმ ძალმომრეობის შესახებ, რომელიც ადგილობრივ და უცხო ქვეყნელ სამოქალაქო წოდების კაცებს უხმარიათ.

**პეტერბურგი.** უმაღლეს სასახლეში, დანიის დედოფლის გარდაცვალებისა გამო, სამის თვის ვადით მგლოვიარობაა დადგენილი.

გამოცხადებულ იქმნა განკარგულება იმის, თუ რა წესით და პირობით უნდა გარდაცვლილ იქმნას სადგილ-მამულო ბანკის $4^1/_2$%-იანი მოწმობანი 4%-ზედ. ამ ბანკის ყველა მოწმობა $4^1/_2$%-ანი, საფასურით 57.060,300 მანეთისა 1899 წლის 2 იანვრამდე უნდა იქმნას გამოსყიდული და ამიტომაც ამ დროიდანვე სარგებლის აღრიცხვაც მოისპობა.

**სევასტოპოლი.** 21 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე, სევასტოპოლში გემით მობრძანდნენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული, დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე, დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული და პრინცესა ირენა, რომელთაც თან ახლდნენ სასახლისა და სამხედრო მინისტრნი. აქედან საღამოს 9 საათზე ხელმწიფე რკინის გზით საზღვარ-გარეთ წაბრძანდა, ხოლო დედოფალი და სამეფო გვარეულობის სხვა წევრნი ამალითურთ ხვალ დაბრუნდებიან ლივადიაში.

**ბერნი.** სიტტენში ამართული ჰაეროსტატი ქარმა ჩრდილოეთ დასავლეთისაკენ წაიღო და ლანგრსა და დიჟანს შუა ჩამოეშვა.


## განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება
ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

ამავე საზოგადოების ახალი გამოცემანი:

1) ამოდის, ნათდება! და სხვა მოთხრობები, ვაჟა-ფშაველასი. ფასი 15 კ.

2) კრილოვის არაკები, თარგმანი აკაკისა, მესამე გამოცემა, სურათებით. ფასი 30 კ. (10—3)

საზღვევი საზოგადოება
„იაკორი“
**უმაღლესად** დამტკიცებული 1872 წელს მოსკოვში

ტფილისის უმთავრესი სააგენტო
ღებულობს
**დაზღვევას ცეცხლისაგან**
ყოველ-გვარ უძრავ და მოძრავ ქონებისას.
**დაზღვევას სიცოცხლისა** და **თანხებისა**
შეღავათიანის პირობებით, მაგალითად შეღავათი იმ შემთხვევაში, როცა დაზღვეულს შრომა არ შეუძლიან და აგრეთვე დაზღვეულს სარგებლობა ეძლევა საზოგადოების მოგებიდან
**დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან**
მიიღებიან საერთოდ დაზღვევა მუშებისა, ქარხნებსა და სახელოსნოებში, აგრეთვე დაზღვევა კერძო პირებისას
**დაზღვევა გაგზავნილ საქონლებისა**
ზღვაზედ, მდინარეებზედ თუ ხმელეთზედ, აგრეთვე დაზღვევა გემებისა

თხოვნებით და ყოველ-გვარ ცნობათა შესატყობად დაზღვევაზე შეიძლება მიჰმართონ ტფილისის კონტორაში უმთავრესს აგენტს ალექსანდრე გრიგოლის-ძეს სერგეევს, ერევნის მოედნის ყურში თავ. ციციშვილის სახლებში № 2. და აგრეთვე მოსკოვში საზოგადოების გამგეობაში.

**Страховое Общество „ЯКОРЪ“**
**Высочайше** утвержденное въ 1872 г. въ Москвѣ

**Принимаетъ:** 1) Страхованіе отъ огня, 2) страхованіе жизни и капиталовъ, 3) страхованіе отъ несчастныхъ случаевъ и 4) страхованіе транспортовъ.

**Контора Тифлисскаго Главнаго Агента Александра Григорьевича Сергѣева**
на углу Эриванской пл. д. кн. Цицianова № 2. (50—46)

**Изданіе газеты «Казбекъ»,**
пріостоновленное распоряж. г. Министра Внутр. дѣлъ, на 8 мѣсяцевъ
возобновляется со **2**-го сентября 1898 г.

**Принимается подписка**
на общественную, политическую и литературную газету
**„КАЗБЕКЪ“**

**Условія подписки:**
Съ доставкою во Владикавказѣ на одинъ годъ . . . **6** руб.
Съ пересылкою иногороднимъ » » » . . . **7** руб.
Съ сентября по 31 декабря 1898 г. какъ городскимъ, такъ и иногороднимъ подписчикамъ **два** рубля.

**Плата за объявленія:**
На 1-й страницѣ за 1 разъ 20 к. послѣдующіе разы 10 к. ) со строки
На 4-й » „ 1 » 10 к. „ » 5 к. ) петита

Отдѣльный нумеръ 5 коп.

Подписиваться можно съ 1-го числа каждаго мѣсяца и до конца года. Подписка и объявленія принимаются во Владикавказѣ, въ конторѣ газ. «Казбекъ» у издателя С. I. Казарова. (12—11)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 Сентября 1898 г. სტ. „ცნ. ფურ.“ (გ. ვუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი ვ. ზუნი